



თიბისი კაპიტალი

მომხმარებლის დანახარჯების დინამიკა

აპრილი 2026

ირინა კვახაძე

უფროსი ვიცე პრეზიდენტი, კვლევები

თეა პავლიაშვილი

ანალიტიკოსი, კვლევები

მოკლე შეჯამება

2026 წლის აპრილში თიბისი ბანკის არხებით განეული მომხმარებელთა უნაღდო დანახარჯები და ტრანზაქციების რაოდენობა წლიურ ზრდას განაგრძობს.

სასტუმროებში უნაღდო დანახარჯები წლიურ ქრილში შემცირებულია, რაც მეტწილად ფართო რეგიონში გეოპოლიტიკურ დაძაბულობას უკავშირდება.

2026 წლის აპრილში რესტორნებში უნაღდო დანახარჯები წლიურად 15%-ით გაიზარდა, ხოლო საშუალო დანახარჯი ერთ ტრანზაქციაზე 33 ლარს გაუტოლდა.

ამავე თვეში ტანსაცმელსა და აქსესუარებზე უნაღდო დანახარჯები წლიურად 16%-ით გაიზარდა.

შენიშვნა: ზრდის ტემპები მოცემულია თიბისი ბანკის არხებით POS და ელ-კომერციის ხარჯვაზე დაყრდნობით; მოცემული ზრდები შესაძლოა განსხვავდებოდეს ჯამური ბაზრის დინამიკისგან უნაღდო დანახარჯების წილის და თიბისი ბანკის საბაზრო წილის ცვლილების გამო




თიბისი კაპიტალი


ჯამური უნაღდო დანახარჯების წლიური ზრდა დადებითია

- > 2026 წლის აპრილში, თიბისი ბანკის არხებით, ჯამური უნაღდო დანახარჯები და უნაღდო ტრანზაქციების რაოდენობა, შესაბამისად, წლიურად 13% და 15%-ით გაიზარდა.
- > ამავე თვეში თიბისი ბანკის არხებით გაწეულ ჯამურ უნაღდო დანახარჯებში რეზიდენტებმა 87%-იანი, ხოლო არარეზიდენტებმა 13%-იანი წილი დაიკავეს.

გრაფიკი 1. ჯამური უნაღდო დანახარჯები და უნაღდო ტრანზაქციების რაოდენობა (წლიური ცვლილება, %)



გრაფიკი 2. უნაღდო დანახარჯების განაწილება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის (წილი, %)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


ჯამური უნაღდო დანახარჯების ყველაზე დიდი წილი სურსათის უკავია

- > 2026 წლის აპრილში ჯამური უნაღდო დანახარჯების 30%-იანი წილი სურსათზე გაწეულმა ხარჯებმა დაიკავა, ხოლო რესტორნებში დანახარჯების წილმა 15% შეადგინა.
- > ამავე პერიოდში სურსათზე უნაღდო დანახარჯები წლიურად 17%-ით გაიზარდა, ხოლო საშუალო დანახარჯი ერთ ტრანზაქციაზე 17 ლარი დაფიქსირდა. სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ინფლაციამ 8% შეადგინა.

გრაფიკი 3. ჯამური უნაღდო დანახარჯების განაწილება კატეგორიების მიხედვით (წილი, %)



გრაფიკი 4. სურსათი: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი




წყარო: საქსტატი, თიბისი ბანკის არხები, საქართველო

სამომხმარებლო საქონელზე ჯამური დანახარჯების 64% მოდის


- > 2026 წლის აპრილში, თიბისი ბანკის არხებით, ჯამური უნაღდო დანახარჯების განაწილებამ სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე, შესაბამისად, 64% და 36% შეადგინა.
- > სურსათზე გაწეულმა ხარჯებმა თიბისი ბანკის არხებით საქონელზე გაწეულ ჯამურ უნაღდო დანახარჯებში 46%-იანი წილი დაიკავა.

გრაფიკი 5. ჯამური უნაღდო დანახარჯების განაწილება საქონლისა და სერვისების მიხედვით (წილი, %)




გრაფიკი 6. სამომხმარებლო საქონელზე დანახარჯები კატეგორიების მიხედვით, აპრილი 2026

- 46% სურსათი
- 10% ტანსაცმელი და აქსესუარები
- 10% საწვავი
- 8% ფარმაცია
- 8% ელექტრონიკა
- 6% საცალო გაყიდვები
- 6% სამშენებლო მასალა
- 2% ავეჯი და მოწყობილობები
- 3% პირადი ჰიგიენა



გრაფიკი 7. სამომხმარებლო საქონელზე დანახარჯები კატეგორიების მიხედვით, აპრილი 2025

- 46% სურსათი
- 10% ტანსაცმელი და აქსესუარები
- 9% საწვავი
- 8% ფარმაცია
- 8% ელექტრონიკა
- 6% საცალო გაყიდვები
- 6% სამშენებლო მასალა
- 3% ავეჯი და მოწყობილობები
- 3% პირადი ჰიგიენა




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


სასტუმროებში უნაღდო დანახარჯების უდიდეს წილს არარეზიდენტები იკავებენ

- > 2026 წლის აპრილში, თიბისი ბანკის არხებით, სასტუმროებში განეულ უნაღდო დანახარჯებში წლიურად 7%-იანი კლება დაფიქსირდა, რაც მეტწილად ფართო რეგიონში გეოპოლიტიკურ დაძაბულობას უკავშირდება. ერთ ტრანზაქციაზე საშუალო დანახარჯმა 439 ლარი შეადგინა.
- > ამავე პერიოდში თიბისი ბანკის არხებით სასტუმროებში ჯამური უნაღდო დანახარჯები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის, შესაბამისად, 19% და 81%-ად განაწილდა.

გრაფიკი 8. სასტუმროები: ჯამური უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი



გრაფიკი 9. სასტუმროები: უნაღდო დანახარჯების განაწილება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის (წილი, %)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


სასტუმროებში რეზიდენტების უნაღდო დანახარჯები წლიურად 14%-ით გაიზარდა

- > 2026 წლის აპრილში, თიბისი ბანკის არხებით, სასტუმროებში რეზიდენტების უნაღდო დანახარჯებში წლიური 14%-იანი ზრდა დაფიქსირდა, ხოლო საშუალო დანახარჯი 211 ლარს გაუტოლდა.
- > ამავე თვეში სასტუმროებში არარეზიდენტების უნაღდო დანახარჯები წლიურად 11%-ით შემცირდა. რაც შეეხება საშუალო ტრანზაქციის მოცულობას, მაჩვენებელი 588 ლარს გაუტოლდა.

გრაფიკი 10. სასტუმროები: რეზიდენტების უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი



გრაფიკი 11. სასტუმროები: არარეზიდენტების უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


უნაღდო დანახარჯები რესტორნებში წლიურად მზარდია

- > 2026 წლის აპრილში რესტორნებში უნაღდო დანახარჯები, თიბისი ბანკის არხებით, წლიურად 15%-ით გაიზარდა. საშუალო ტრანზაქციის მოცულობამ 33 ლარი შეადგინა.
- > ამავე პერიოდში თიბისი ბანკის არხებით რესტორნებში გაწეული უნაღდო დანახარჯების 72% რეზიდენტებმა და 28% არარეზიდენტებმა დაიკავეს.

გრაფიკი 12. რესტორნები: ჯამური უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი



გრაფიკი 13. რესტორნები: უნაღდო დანახარჯების განაწილება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის (წილი, %)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


რესტორნებში რეზიდენტების საშუალო ტრანზაქციის მოცულობა 26 ლარია

- > 2026 წლის აპრილში რესტორნებში რეზიდენტების უნაღდო დანახარტები წლიურ ჭრილში 24%-ით გაიზარდა, ხოლო დანახარტი ერთ ტრანზაქციაზე 26 ლარს გაუტოლდა.
- > ამავე პერიოდში, თიბისი ბანკის არხებით, რესტორნებში არარეზიდენტების უნაღდო დანახარტები წლიურად 3%-ით შემცირდა. საშუალო დანახარტი 114 ლარს გაუტოლდა.

გრაფიკი 14. რესტორნები: რეზიდენტების უნაღდო დანახარტების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარტი



გრაფიკი 15. რესტორნები: არარეზიდენტების უნაღდო დანახარტების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარტი




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


ტანსაცმელსა და აქსესუარებზე უნაღდო დანახარჯების წლიური ზრდა დადებითია

- > 2026 წლის აპრილში ტანსაცმელსა და აქსესუარებზე უნაღდო დანახარჯებში წლიური 16%-იანი ზრდა დაფიქსირდა, ხოლო საშუალო დანახარჯი 106 ლარს გაუტოლდა.
- > ამავე თვეში, თიბისი ბანკის არხებით, ტანსაცმელსა და აქსესუარებზე გაწეულ ჯამურ უნაღდო დანახარჯებში რეზიდენტებმა და არარეზიდენტებმა, შესაბამისად, 84% და 16%-იანი წილები დაიკავეს.

გრაფიკი 16. ტანსაცმელი და აქსესუარები: ჯამური უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი



გრაფიკი 17. ტანსაცმელი და აქსესუარები: უნაღდო დანახარჯების განაწილება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის (წილი, %)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


არარეზიდენტების უნაღდო დანახარჯები ტანსაცმელსა და აქსესუარებზე მზარდია

- > 2026 წლის აპრილში ტანსაცმელსა და აქსესუარებზე რეზიდენტების უნაღდო დანახარჯები წლიურად 18%-ით გაიზარდა. რაც შეეხება საშუალო დანახარჯს ერთ ტრანზაქციაზე, მაჩვენებელი 96 ლარს გაუტოლდა.
- > ამავე პერიოდში არარეზიდენტების უნაღდო დანახარჯები ტანსაცმელსა და აქსესუარებზე წლიურ ჭრილში 5%-ით გაიზარდა. საშუალო ტრანზაქციის მოცულობა 236 ლარს გაუტოლდა.

გრაფიკი 18. ტანსაცმელი და აქსესუარები: რეზიდენტების უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი



გრაფიკი 19. ტანსაცმელი და აქსესუარები: არარეზიდენტების უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


საწვავზე უნაღდო დანახარჯების დინამიკა მზარდია

- > 2026 წლის აპრილში, თიბისი ბანკის არხებით, საწვავზე უნაღდო დანახარჯები წლიურად 27%-ით გაიზარდა, ხოლო საშუალო დანახარჯმა 56 ლარი შეადგინა.
- > ამავე პერიოდში მანქანის შეკეთებასთან დაკავშირებული უნაღდო დანახარჯები წლიურ ჭრილში 8%-ით გაიზარდა. საშუალო დანახარჯი 39 ლარს გაუტოლდა.

გრაფიკი 20. საწვავი: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი



გრაფიკი 21. მანქანის შეკეთება: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


უნაღდო დანახარჯები ფარმაციაზე წლიურად 20%-ით გაიზარდა

- > 2026 წლის აპრილში თიბისი ბანის არხებით ფარმაციაზე გაწეული უნაღდო დანახარჯები გასული წლის აპრილთან შედარებით 20%-ით გაიზარდა. საშუალო დანახარჯი ერთ ტრანზაქციაზე 28 ლარს გაუტოლდა.
- > ამავე თვეში პირად ჰიგიენაზე უნაღდო დანახარჯები წლიურად 15%-ით გაიზარდა. რაც შეეხება საშუალო დანახარჯს, მაჩვენებელმა 74 ლარი შეადგინა.

გრაფიკი 22. ფარმაცია: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი



გრაფიკი 23. პირადი ჰიგიენა: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო


უნაღდო დანახარჯები ელექტრონიკაზე მზარდია

- > 2026 წლის აპრილში, თიბისი ბანკის არხებით, ელექტრონიკაზე უნაღდო დანახარჯები წლიურად 5%-ით გაიზარდა.
- > ამავე თვეში ავეჯსა და მოწყობილობებზე გაწეული უნაღდო დანახარჯები გასული წლის აპრილთან შედარებით 4%-ით შემცირდა.

გრაფიკი 24. ელექტრონიკა: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი (წლიური ცვლილება, %)



გრაფიკი 25. ავეჯი და მოწყობილობები: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი (წლიური ცვლილება, %)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო

უნადლო დანახარჯები სამშენებლო მასალებზე წლიურად 12%-ით გაიზარდა

> 2026 წლის აპრილში, თიბისი ბანკის არხებით, სამშენებლო მასალებზე განეულ უნადლო დანახარჯებში წლიური 12%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

გრაფიკი 26. სამშენებლო მასალები: უნადლო დანახარჯების ზრდის ტემპი (წლიური ცვლილება, %)



სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად.

დოკუმენტში მოცემული არცერთი დებულება არ განიმარტება როგორც ოფერტი ან მოწვევა ოფერტზე ნებისმიერი აქტივის ან/და ფასიანი ქაღალდის ყიდვასთან ან/და გაყიდვასთან დაკავშირებით და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულების გაფორმებისთვის ან ვალდებულებების აღებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის.

რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმ ქმედებს მათ მიმართ.

ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო, ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ები), პარტნიორ(ები), თანამშრომელ(ები), დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) არ იღებენ რაიმე სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებლობას რომელიმე პირის წინაშე რომელიმე იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან, ფლობასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით.

დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და ფინანსურ, საგადასახადო, სამართლებრივ ან/და სხვა სახის შესაბამისობის შეფასებას (due diligence). დოკუმენტის თითოეული მიმღები უნდა აცნობიერებდეს, რომ წინამდებარე კვლევის გამოყენების შემთხვევაში თიბისი კაპიტალი არ არის პასუხისმგებელი კვლევითი სარგებლობასთან დაკავშირებულ შედეგებზე და რეკომენდებულა, რომ თითოეულმა მიმღებმა დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა და დეტალური შეფასება. ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ დოკუმენტის მიმღების პირადი შეხედულებითა და დისკრეციით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა მონაცემი ან/და ინფორმაცია წარმოადგენს მესამე მხარის წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას და თიბისი კაპიტალი არ იღებს რაიმე სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებლობას მათ სისრულესთან, სისწორესთან და სიზუსტესთან დაკავშირებით. წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ფინანსური ფინანსური ფუნქცია მესამე პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციას. თიბისი კაპიტალი არ იძლევა რაიმე სახის პირდაპირ ან ნაგულისხმევ გარანტიას მათ სიზუსტეზე, სისრულესა და გონივრულობაზე. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია არ უნდა იქნეს მიჩნეული საბოლოო ანალიზად ან რაიმე გადაწყვეტილების მიღების საფუძველად. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს თიბისი კაპიტალისგან დამოუკიდებლად და მისი გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ რაიმე სახის ვალდებულება, განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია.

დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომზადარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მასზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას, განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული რაიმე უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა.

დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი შეიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტორი შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისგან, რომლებიც შეიძლება გამოდინარეობდეს ასეთ სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთ სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დამუშავას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას, რადგან ისინი უკავშირდება ისეთ მოვლენებს და დამოკიდებულებას ისეთ გარემოებებზე, რომელთა სამომავლო არსებობა სათუთაა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს.

მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია.

თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნეს ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, შესაძლოა არსებობდეს ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე, თუმცა არსებული საუკეთესო სტანდარტების დაცვით, თიბისი კაპიტალს ჩამოყალიბებული აქვს სათანადო პრაქტიკა და პროცედურები, რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფენ მომსახურების შესრულების დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას.

მოცემული დოკუმენტი არის მკაცრად კონფიდენციალური. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის აღნიშნულთან დაკავშირებულ ქმედებებზე.

თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ.

ზემოაღნიშნულის შემზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ რომელიმე ვალდებულებიდან გამომდინარე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე სახით გამოყენების შედეგად (მათ შორის, შემზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე რაიმე ქმედების განხორციელებას ან/და უმოქმედობას.



თბილისი კაპიტალი

www.tbccapital.ge